პროექტი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
კონსტიტუციური კანონი
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში
ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში (აფხაზეთის ხმა, №27, 06.07.2001წ.) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-4 მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილე“.

2. მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. უმაღლესი საბჭო 5 წლის ვადით რეგლამენტით დადგენილი წესით ფარული კენჭისყრით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს.“.

3. მე-5 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. უმაღლესი საბჭოს მუშაობის ორგანიზებისა და უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით იქმნება უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომლის შემადგენლობაში შედიან უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, უმაღლესი საბჭოს კომიტეტებისა და ფრაქციების თავმჯდომარეები.“.

4. მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის, უმაღლესი საბჭოს სიითი შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედის წერილობითი მოთხოვნით ან საკუთარი ინიციატივით უმაღლესი საბჭოს სესიებს შორის პერიოდში იწვევს რიგგარეშე სესიას, ხოლო მორიგი სესიის მიმდინარეობისას – რიგგარეშე სხდომას. თუ წერილობითი მოთხოვნის წარდგენიდან 48 საათის განმავლობაში მოწვევის აქტი არ გამოიცა, უმაღლესი საბჭო თავისი რეგლამენტის თანახმად იკრიბება მომდევნო 48 საათის განმავლობაში. ასეთ შემთხვევაში უმაღლესი საბჭოს სხდომას წარმართავს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით დადგენილი წესით. უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სხდომა ტარდება მხოლოდ ინიციატორის მიერ განსაზღვრული დღის წესრიგით და იხურება მისი ამოწურვისთანავე.“.

მუხლი 2

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე **გიორგი ჯინჭარაძე**

განმარტებითი ბარათი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტზე „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კონსტიტუციური კანონის პროექტის შესახებ:

ა.ა) კონსტიტუციური კანონის პროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კონსტიტუციური კანონის პროექტი:

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის სპეციფიკიდან და მის წინაშე მდგარი ამოცანების ფუნქციური ანალიზიდან გამომდინარე, აუცილებლობას არ წარმოადგენს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ორი მოადგილის თანამდებობის არსებობა. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეზე თანამდებობრივად დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად საკმარისია ერთი მოადგილის თანამდებობის არსებობა.

კანონმდებლობის თანახმად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის გადადგომის, გადაყენების ან მის მიერ უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს მისი პირველი მოადგილე, ხოლო მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში – თავმჯდომარის მოადგილე. პირველი მოადგილის თანამდებობის შემოღებამდე უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს ჰყავდა ორი მოადგილე, პირველი მოადგილის თანამდებობის შემოღება კი იმ გარემოებამ განაპირობა, რომ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობისას განსაზღვრული ყოფილიყო, თუ ვინ შეასრულებდა მის მოვალეობას და ყოველ ჯერზე არ ყოფილიყო საჭირო მოვალეობის შემსრულებლის დასახელება. ვინაიდან ორი მოადგილის ნაცვლად უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს ეყოლება ერთი მოადგილე, ეს პრობლემა ისედაც არ იარსებებს და თავმდჯომარის მიერ უფლებამოსილების შესრულების შეუძლებლობისას სწორედ მას დაეკისრება თავმჯდომარის მოვალეობა.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კონსტიტუციური კანონის მიღების აუცილებლობა:

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წინაშე მდგარი ამოცანების ფუნქციური ანალიზიდან გამომდინარე, ასევე უმაღლესი საბჭოს შემადგენლობის შემცირების ფაქტის გათვალისწინებით, საჭიროებას აღარ წარმოადგენს ორი მოადგილის თანამდებობის არსებობა. აქედან გამომდინარე, აუცილებელია შესაბამისი ცვლილებების განხორციელება როგორც აფხაზეთის კონსტიტუციაში, ისე უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში.

ა.ბ) კონსტიტუციური კანონის პროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კონსტიტუციური კანონის პროექტის მიღების შემთხვევაში, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს ნაცვლად ორი მოადგილისა ეყოლება ერთი მოადგილე.

ა.გ) კონსტიტუციური კანონის პროექტის ძირითადი არსი

წარმოდგენილი კონსტიტუციური კანონის პროექტის თანახმად, ცვლილება შედის კონსტიტუციის მე-4 მუხლის სათაურში, მე-4 მუხლის მე-3, მე-5 მუხლის პირველ და მე-8 მუხლის მე-2 პუნქტებში. წარმოდგენილი ცვლილებები ითვალისწინებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ერთი მოადგილის თანამდებობის არსებობას.

ა.დ) კონსტიტუციური კანონის პროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ ინიციირებული კონსტიტუციური კანონის პროექტის შემთხვევაში):

კონსტიტუციური კანონის პროექტი არ არის ინიციირებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ.

ა.ე) კონსტიტუციური კანონის პროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კონსტიტუციური კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კონსტიტუციური კანონის პროექტი ძალაში შედის გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს. აღნიშნული გამოწვეულია უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანისათვის საჭირო ვადით. ამასთან, კონსტიტუციური კანონის პროექტით უკუძალა გათვალისწინებული არ არის.

ბ) კონსტიტუციური კანონის პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კონსტიტუციური კანონის პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კონსტიტუციური კანონის პროექტის მიღება არ იწვევს ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კონსტიტუციური კანონის პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კონსტიტუციური კანონის პროექტის მიღება გავლენას მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, კერძოდ ის შემცირდება თვეში 160 ლარით.

ბ.გ) კონსტიტუციური კანონის პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კონსტიტუციური კანონის პროექტის მიღება გამოიწვევს საბიუჯეტო ხარჯების შემცირებას თვეში 800 ლარის ოდენობით.

ბ.დ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კონსტიტუციური კანონის პროექტის მიღება არ ითვალისწინებს ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კონსტიტუციური კანონის პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კონსტიტუციური კანონის პროექტის მოქმედება:

კონსტიტუციური კანონის პროექტის მიღება წარმოშობს ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კონსტიტუციური კანონის პროექტის მოქმედება, კერძოდ, შრომის ანაზღაურება შემცირდება თვეში 800 ლარით.

ბ.ვ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კონსტიტუციური კანონის პროექტის ზეგავლენის შეფასება:

კონსტიტუციური კანონის პროექტი ზეგავლენას არ ახდენს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

ბ.ზ) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება

კონსტიტუციური კანონის პროექტი ზეგავლენას არ ახდენს ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე.

გ) კონსტიტუციური კანონის პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

გ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კონსტიტუციური კანონის პროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

გ.ბ) კონსტიტუციური კანონის პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კონსტიტუციური კანონის პროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ) კონსტიტუციური კანონის პროექტის ავტორი:

კონსტიტუციური კანონის პროექტის ავტორები არიან უმაღლესი საბჭოს წევრები:

ჯემალ გამახარია, რაისა ქარაია, ნუგზარ მგალობლიშვილი, თაიმურაზ მჟავია, ვახტანგ ყოლბაია, ბორის კაკუბავა, ზურაბ ჯგუბურია, ანზორ წოწონავა, მურმან კვარაცხელია, ნაპოლეონ მესხია, ელგუჯა გვაზავა, როსტომ შამუგია.

ე) კონსტიტუციური კანონის პროექტის ინიციატორი:

კონსტიტუციური კანონის პროექტის ინიციატორები არიან უმაღლესი საბჭოს წევრები:

ჯემალ გამახარია, რაისა ქარაია, ნუგზარ მგალობლიშვილი, თაიმურაზ მჟავია, ვახტანგ ყოლბაია, ბორის კაკუბავა, ზურაბ ჯგუბურია, ანზორ წოწონავა, მურმან კვარაცხელია, ნაპოლეონ მესხია, ელგუჯა გვაზავა, როსტომ შამუგია.